ცნობის ფურცელი

№ 2310 შაბათი, 1 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2310

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ნინო მერაბის ასული იოსელიანისა შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაკრძალვა მისის უდროოდ გარდაცვლებულის ასულისა

მ ა რ თ ა ს ი

დანიშნულია ორშაბათს, სამს ნოემბერს, ამაღლების ეკკლესიაში.

ტფილისის სადგურიდან ცხედარს გამოასვენებენ დილის ცხრა საათზე იმავე რიცხვს. (3—1)

ივანე სერგეის ძე ტერ-სარქისიანი და ალექსანდრე სერგეის ძე ლისინოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ მეუღლის, ხოლო მეორე—მამიდისა

თამარ მიხეილის ასულის ტერ-სარქისიანისას.

პანაშვიდები პარასკევსა და შაბათს საღამოს 6½ საათზე საკუთარ სახლში, მუშტაიდის ქ. გვამის გამოსვენება კვირას, 2 ნოემბერს, დილის 9½ საათზე თანდროევის ღვთისმშობლის ეკკლესიაში (მიხეილის ქ. რეალ. სასწ. მახლობლად). (2—1)

№ 14. ტელეფონი № 761

ქართული თეატრი

კვირას, 2 ნოემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

კოვერლეის მკვლელობა

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათად თარგ. დ. მესხის მიერ

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ივანიძე, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ქართული თეატრი

სამშაბათს, 4 ნოემბერს, 1903 წელს **გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

სევილელი დალაქი

კომედია 4 მოქმ. ბომარშესი, თარგ. დ. ყიფიანისა.

II

დ უ ე ლ ი

იუმორია 1 მოქმ. გად. კ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, დავითაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ჭყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ივანიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 1 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება პირველად

ფრანჩესკო და რიმინი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ნაპრავნიკისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: რენე-რადინა, კარრი, სკორუპსკაია; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 2 ნოემბერს, დილით—„ჟიზნ ზა ცარია“, საღამოთი—„კარმენ“, 3 ნოემბ.—„დემონი“. (6)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

საქარის სანერგე ამერიკულ ვაზისა ამით აცხადებს: ვისაც ჰსურს დამყნილი ვაზი ან ამერიკულ ვაზის ლერწი შეუძლიან დაიკვეთოს 1903 წლის 15 დეკემბრიდან 1904 წლის 15 იანარამდის ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებიდან დ. ყვირილაში, კახეთისთვის-კი უნდა მიჰმართონ კონდოლის სანერგეს, რომელიც იმყოფება თელავის მაზრაში. შეკვეთილ მასალასთან უნდა გამოიგზავნოს ფული სრულად, რაც ეღირება მასალა.

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ნაბეჭდი ცნობები საქარის სანერგის შესახებ უფასოდ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

სტამბულოვისტების გამარჯვება ბოლგარიაში

19 ოქტომბერს ბოლგარიაში საერო კრების წევრთა არჩევანი მოხდა. არჩევანში მთავრობის პარტიამ, სტამბულოვისტებმა გაიმარჯვეს: 144 სტამბულოვისტი აირჩიეს და მხოლოდ 45 ოპოზიციონერი. არც მთავრობა მოელოდა თურმე ასეთ შესანიშნავ გამარჯვებას, არც „შეერთებული ოპოზიცია“ მოელოდა ასეთ დამარცხებას. არჩევნის წინ დიდი აგიტაცია იყო გამართული და ყველა პარტია ძალზე ცდილობდა, ხალხისათვის თავისი პროგრამა და კანდიდატები მოეწონებინა. რუსეთის მომხრე ცანკოვისტებს სხვა პარტიებიც მიემხრნენ, „შეერთებული ოპოზიცია“ შეადგინეს და მთავრობის წინააღმდეგ დიდი აგიტაცია გამართეს. ნამდვილი ომი გამოუცხადეს პეტროვისა და პეტკოვის სამინისტროს. რას არ აბრალებდნენ და რას არ უგონებდნენ მთავრობას! მაგრამ ვერას გახდნენ, მთავრობამ თავისი გაიტანა და არჩევნებში სასახელოდ გაიმარჯვა. ოპოზიცია წინადაც უჩიოდა მთავრობას და ეხლაც იმ ბრალსა სდებს, რომ მთავრობამ ხალხს შიშის ზარი დასცა და თავისი კანდიდატები ძალ-დ-ძალ აარჩევინაო. ოპოზიციის რუსული გაზეთები „პეტერბურგსკია ვედომოსტ“-ი, „ნოვ. ვრემია“ და სხვებიც ბანს აძლევდნენ და მთელი წარსული ზაფხული და შემოდგომა სულ ბოლგარიის მთავრობისა და იმის მომხრე პარტიის ლანძღვასა და გინებაში გაატარეს. ბოლგარიაში უმთავრესად რუსეთის მტრები (სტამბულოვისტები) და რუსეთის მომხრეები (ცანკოვისტები) იბრძოდნენ. ხსენებული გაზეთებიც ამიტომ მეტად დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამ ბრძოლას. ცანკოვისტებს ყველაფერში ამართლებდნენ, მთავრობასა და იმის მომხრე სტამბულოვისტებს-კი ყველაფერში ამტყუნებდნენ და სწორედ აუგის პირითა ჰლანძღავდნენ. ოპოზიციაც და რუსული გაზეთებიც დიდის მოუთმენლობით ელოდნენ არჩევნებს; ეგონათ, ბოლგარიის ერი რუსეთის მომხრე ცანკოვისტებს აარჩევდა და რუსეთის მტერ სტამბულოვისტებს საუკუნოდ ანდერძს აუგებდა, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ.

რად მოხდა ასე? ბოლგარიის ერმა რად იბრუნა პირი, გუნება რად იცვალა და რუსეთის მტერი სტამბულოვისტები რუსეთის მომხრე ცანკოვისტებს რად ამჯობინა? ბოლგარიის ოპოზიცია და ზოგიერთი რუსული გაზეთი სტამბულოვისტების გამარჯვებას მარტო ახლანდელ მთავრობისა და იმის აგენტების ძალ-მომრეობითა ჰხსნის. მაგრამ პირუთვნელი ხალხი სხვა თვალით უყურებს ამ საქმეს და სულ სხვანაირად ჰხსნის სტამბულოვისტების გამარჯვებას.

რუსულ გაზ. „კურიერ“-ის სოფიელ კორესპონდენტის აზრითაც, ეს გამარჯვება მარტო ძალ-მომრეობით როდი აიხსნება. ბოლგარიაში არჩევნების დროს მთავრობა ყოველთვის საქმეში ერეოდა და ძალ-მომრეობას ხმარობდა, ცანკოვისტებიც ასე იქცეოდნენ ნიადაგ, სტამბულოვისტებიცაო. მაგრამ იქნება ეხლანდელმა მთავრობამ ნამეტანი უსინიდისობა გამოიჩინა და ხალხს მართლა სულ ძალ-და-ძალ აარჩევინა რუსეთის მტრები? პირუთვნელი კორესპონდენტი გადაჭრით ამბობს,—სულაც არაო. სტამბულოვისტების გამარჯვება მარტო ძალ-მომრეობით როდი აიხსნებაო. რაც უნდა დიდი ძალა დაეტანებინა ხალხისათვის, ასე ვსთქვათ, 10 ან 20 მეტი სტამბულოვისტი აერჩევინებინა, მეტს ვერას გახდებოდაო. ბევრ საარჩევნო ოლქში მთავრობა სულაც არ გარეულა საქმეში, არავისთვის ძალა არ დაუტანებია, მაგრამ რუსეთის მომხრე კანდიდატები მაინც სამარცხვინოდ დამარცხდნენო. ბოლგარიის სატახტო ქალაქ სოფიისა, ვარნასა, რუშჩუკსა, პლოვდივსა, შუმლასა, პლევნასა და სხვა დიდ ქალაქებში მოხელეები სულ არ გარეულან საქმეში. მაგრამ ხალხმა ძალ-დაუტანებლივ თავის ნებით მაინც სტამბულოვისტები აირჩია. მთავრობის კანდიდატებმა სოფიაში თითომ 3½ ათასი ხმა მიიღო, ოპოზიციის კანდიდატებმა კი მარტო 1,500 თითომ. ბელაიასლატინა ცანკოვისტების ბურჯად ითვლებოდა აქამდე, აქ ძალაც არავის დაუტანებია, მაგრამ ხალხმა თითონ თავისუფლად ცანკოვის მაგიერ ეხლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი დიმიტრი პეტკოვი აირჩია.

მაშ რა მიზეზია, რომ სტამბულოვისტებმა ასე სასახელოდ გაიმარჯვეს და ოპოზიცია ასე სამარცხვინოდ დამარცხდა? იქნება ნიჭიერ, გამჭრიახ სტამბულოვის სახელმა უშველა მთავრობის პარტიას? კორესპონდენტი ამბობს: ბოლგარიაში ეხლა ბევრი მადლობით იხსენიებს სტამბულოვს და გამოტეხით ამბობს, განსვენებულმა მინისტრმა გარეშე პოლიტიკაში დაუფასებელი ამაგი დასდო და მეტად დიდი სამსახური გაუწია სამშობლოსაო, მაგრამ განსვენებულ დიქტატორის შინაგან პოლიტიკას კი ბოლგარები დღესაც სასტიკად ჰკიცხავენ, ასე რომ მთავრობის გამარჯვება არც სტამბულოვის სახელით აიხსნებაო,—ამბობს კორესპონდენტი. მაშ რით აიხსნება ეს გამარჯვება? ამაზე კორესპონდენტი ასეთს პასუხს იძლევა:

ეხლანდელ მთავრობის პოლიტიკა მაკედონიის საქმეში ძლიერ მოსწონს ბოლგარიის ხალხს, მთავრობის ეხლანდელი გამარჯვებაც უმთავრესად ამ პოლიტიკის წყალობა იყო. ბოლგარების აზრით, ცანკოვისტები მეტად მშიშრულ პოლიტიკას ადგნენ და მაკედონიისათვის არაფერს არ არიგებდნენ; ზოგი სულაც დარწმუნებულია, რომ დანევის სამინისტრომ (ცანკოვისტების სამინისტრო იყო) ბოლგარიის ინტერესებს უღალატა და რუსეთის ყურ-მოჭრილი მონა გახდაო. ცანკოვის პარტიაც სწორედ თავის გაუბედავ, არა ეროვნულ პოლიტიკის მიზეზით დამარცხდა ასე სამარცხვინოდ: ხალხმა მარტო 4 ცანკოვისტი-და აარჩია. „პეტროვ-პეტკოვის სამინისტრო კი სულ სხვა გზას დაადგა მაკედონიის საქმეში. რუსეთს აღარაფერში არ დაეკითხა, დამოუკიდებელ პოლიტიკას დაადგა, ოსმალეთთან პირდაპირ მოლაპარაკება გამართა, ჯარი საომრად დაამზადა, ერთის სიტყვით გაბედულად მოიქცა და ბოლგარიის ეროვნულ სახელსა და ინტერესებს მედგრად გამოესარჩლა. ამნაირი პოლიტიკა, მგრძნობიერ, ამაყ ბოლგარებს ძლიერ მოეწონათ, მით უმეტეს, რომ ამ პოლიტიკამ ბევრი სარგებლობაც მოუტანა მაკედონიას. ბოლგარები დარწმუნებულნი არიან, პეტროვი რომ ასეთ მედგარ პოლიტიკას არ დასდგომოდა, რუსეთი და ავსტრია ახალ ნოტას არ წარუდგენდნენ ოსმალეთს და რეფორმების შემოღებას ასე ბეჯითად არ მოსთხოვდნენ, ოსმალეთიც ძალ-მომრეობაზე ხელს არ აიღებდა და ჯარის დათხოვნას არ შეურიგდებოდაო. თავის გაბედულ და დამოუკიდებელ პოლიტიკით ეხლანდელმა მთავრობამ ბოლგარიის ხალხს თავი შეაყვარა, ამიტომ ხალხმაც ყოველივე ცოდო შეუნდო მთავრობას და არჩევნის დროს სულ იმის მომხრე კანდიდატები აარჩია. ამბობენ, მაკედონელებმა, როგორც ერთმა კაცმა, სულ მთავრობას დაუჭირეს მხარიო. მაკედონელებს კი აქ მეტად დიდი ძალა აქვთ“!..

ჩემბერლენის სიტყვა სატამოჟნო საქმეზე

ჩემბერლენს 22 ოქტომბერს ბირმინჰამში დიდი სიტყვა წარმოუთქვამს სატამოჟნო საქმეზე. კრებას 10 ათასზე მეტი კაცი დასწრებია. ჩემბერლენს იგივე უთქვამს, რასაც წინად ლაპარაკობდა ხოლმე, მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეები კი ეხლა უფრო სასტიკად გაუკიცხავს.

რუსები სინ-ძიანში (ჩინეთში)

იაპონური გაზ. „ტოკიო ასაჰი“ იუწყება: რუსეთმა წინადადება მისცა ჩინეთს, უსარგებლოდ ფულს გასესხებთ, იმ პირობით, რომ სინ-ძიანის პროვინციაში ჩინეთის ჯარის ინსტრუქტორებად (გამწვრთნელებად) რუსის ოფიცრები დანიშნეთო. ჩინეთის მთავრობას ჯერ პასუხი არ მიუცია ამაზე, მაგრამ რუსეთმა აღარ მოუცადა ჩინეთის თანხმობას და სინ-ძიანში ოფიცრები გაუგზავნია. ოფიცრები მისულან და ახალ ჯარის-კაცების მოგროვება დაუწყიათ. სინ-ძიანის გუბერნატორი შეეკითხა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რა ვუყო, როგორ მოვექცე ამ რუსის ოფიცრებსაო.

ინგლისისა და რუსეთის გაჯიბრება სპარსეთში

გერმანულ გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ს სწერენ თეჰერანიდან: რუსეთმა რომ სპარსეთს ფული ასესხა, პირობა ჩამოართვა, მაგ ფულის ნაწილით მეშჰედიდან სეისტანში ტელეგრაფი გამართეთო. რუსის ინჟენრებმა თითქმის დაასრულეს ტელეგრაფის გამართვა და მალე დეპეშების გზავნაც დაიწყება.

ინგლისელებიც გულ-ხელ დაკრეფილი არა სხედან და სპარსეთში ორგან ჰმართავენ ტელეგრაფს: ქაშანიდან ბელუჯისტანამდე და ქვეთიდან (სპარსეთის სრუტეშია) სპარსეთის შუა-გულისაკენ.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 31 ოქტომბერს, **რკინის გზის სადგურთან დასჭრეს** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების ოსტატი ბერეზოვსკი. ვიღაც უცნობმა კაცმა დილის $7^1/_2$ საათზე მიმავალ ბერეზოვსკის ხანჯალი ჩაჰკრა და დაიმალა. ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა.

◆ საერო-განათლების სამინისტროს სახელმწიფო საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს ფულის გადადების შესახებ **კავკასიაში საარქეოლოგო გამოკვლევებისთვის.** გამოკვლევებს შეუდგებიან მომავალ წლიდან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება ბ-ნ ბოგდანოვისა, რომელსაც განზრახული აქვს **დიდუბეში მტკვარზე ხიდის გამართვა** და ნება-რთვასა თხოულობს. რადგან ბოგდანოვს მოხსენებაში დაწვრილებით არა ჰქონდა აღნიშნული, რა პირობით ჰკისრულობს ხიდის გაკეთებას, რასა ჰპირდება ქალაქს ხიდის გაკეთების შემდეგ და სხვ., გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ბოგდანოვს დაწვრილებით აღნიშნოს უმთავრესი მუხლები ხიდის საკონცესიოდ აღებისა და სარგებლობისა.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ.“ გადმოგვცემს, **კახეთის რკინის გზის** საზოგადოებისთვის უმაღლესად ნება დაურთავთ მუშაობის დაწყების ვადა გადაიდოს 1904 წლის პირველ აპრილამდე, ხოლო მუშაობა უნდა დამთავრდეს 1906 წ. 1 იანვარს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა უჩივლოს ტფილისის მოქალაქე ტოტომიანცს, რომელმაც **ქალაქის ადგილი**, ზომით 331 ოთხ-კუთხ საჟენი, მიითვისა.

◆ **სოლოლაკის გორის ქვეშ ტუნელის** გამყვანთ გუშინ მოხსენება წარუდგინეს ქალაქის გამგეობას, მოხსენებაში სწერენ, რომ თანახმანი ვართ ხელშეკრულების იმ პროექტისა, რომელიც წელს საბჭომ შეიმუშავაო. ამასთან თხოულობენ, საბჭომ შესცვალოს სამი მუხლი ხელშეკრულობის პროექტისა. კონცესიონერები თხოულობენ: იმ შემთხვევაში, თუ ქალაქი 12 წლის შემდეგ მოისურვებს ტუნელის გამოსყიდვას, საკონცესიო ვადამდე ქალაქმა გადაიხადოს 130,000 მანეთამდე და არა 120,000 მანეთამდე, როგორც ხელშეკრულების პროექტშია აღნიშნული.

◆ ტფილისის პოლიციის ბოქაულები **ხელოსანთა შორის** გადასახადების მოკრებისა და გამგეობაში წარდგენის დროს არ აცნობებენ ხოლმე ხელოსანთა მოურავს, ვის გამოერთვა ფული. ამის გამო ხელოსანთა მოურავმა სთხოვა პოლიცმეისტერს, დაავალოს პოლიციის მოხელეთ ფულის შეკრებისა და გამგეობაში წარდგენის დროს შეატყობინოს, ვისგან არის გარდახდილი, რომ მეორედ აღარ მოსთხოვონ იმას ფული.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოწერილობა წყალთა საოლქო ინჟენერ ჰიდრავლიკისა დიდუბეში **სარწყავ წყლის-არხის** გაწმენდის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, გადასდოს საჭირო ფული არხის გასასუფთავებლად.

◆ მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის მზრუნველ კომისიას ხმოსანმა ალ. ხატისოვმა განუცხადა, რომ ვერის დაღმართზე ქალაქის ფეხის ადგილი მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშიაო. კომისიამ ამ საგნის შესახებ მოხსენების შედგენა მიანდო სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორს.

◆ ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება ტფილისის სახაზინო და საარტისტო საზოგადოების თეატრებთან აწერებს რამდენსამე ვაგონს ღამის პირველ საათამდე თეატრში მოსიარულე ხალხისათვის. გუშინ გამგე კომისიამ მისწერა საზოგადოების წარმომადგენელს, რომ ამ ვაგონებით სარგებლობის ნება არა აქვთ იმათ, რომელთაც უფასო ბილეთები აქვთო.

◆ დღეს, პირველ ნოემბერს, ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას სხდომა ექნება. კომისიამ, სხვათა შორის, მასწავლებლების კანდიდატები უნდა აარჩიოს.

◆ დღეს, 1 ნოემბერს, ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს, სხვათა შორის, საქმეს ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მელნიკოვისას, რომელსაც ტფილისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტის პატრონის ქ-ნ ჩხარტიშვილის შეურაცხება ჰბრალდება.

◆ ბ-ნი ნად. ბებურიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „უგულითადესს მადლობას ვუძღვნი იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და არ დაიშურეს თავისი წვლილი გადმოეცათ ჩემთვის „ხონის პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოებისთვის“ გადასაცემათ. სულ შემოწირულება იყო 15 მ. 50 კაპ. რომელიც კიდევაც გადავეცი“.

◆ ბ-ნი დ. ა. შავიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „ულრმესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს ოზურგეთის საქალაქო სკოლის მესამე კლასის ობოლს და ღარიბ მოსწავლეს ვასილ მახვილაძეს. შესდგა სულ 15 მან. 10 კაპ.“

◆ 30 ოქტომბერს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ილარიონ გელაშვილის დუქანში, ტფილისის მოქალაქეს სარქის ოსკანოვს ჩხუბი მოუვიდა ტფილისის მაზრის მცხოვრებ ალექსი კურხულიასთან, რომელიც მძიმედ დასჭრა,: დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს, დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ აბაშის სკოლის მასწავლებელი გვთხოვს დავბეჭდოთ: „მადლობას ვუცხადებ აბაშის საზოგ. მწერალს დ. ჭკუასელს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ სკოლას დაუკვეთა ამა მდგომარე წლის ნომრები ჟურნალ „ჯეჯილი“-სა“.

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს 26 ოქტომბერს განუხილავს სახალხო სასწავლებელთა დირექტორების შუამდგომლობა სამოქალაქო სასწავლებლებში გადასაყვან ეგზამენის გაუქმების თაობაზე. სამეცნიერო კომიტეტს აღძრული შუამდგომლობა არ შეუწყნარებია და საჭიროდ უცვნია არსებულ წესების უცვლელად დატოვება.

◆ მოჟაისკის საერობო კრებას საჭიროდ დაუნახავს: 1) გაუდიდოს ჯამაგირი სახალხო სკოლის მასწავლებელთ 450 მანეთამდე; 2) შემოიღოს სკოლებში ოთხი წლის კურსი ორის მასწავლებლის დანიშვნით; 3) მოაწყოს ყველა საერობო სკოლებში სახალხო კითხვები; 4) დააარსოს სკოლებთან წიგნთსაცავები.

◆ სახელმწიფო საბჭოს ამ ცოტა ხანში წარუდგენენ პროექტს საერო განათლების სამინისტროს მთავარ-სამმართველოს ახალ წესზე მოწყობის შესახებ. ახალის პროექტით, ერთის დეპარტამენტის მაგივრად სამი დეპარტამენტი უნდა დაარსდეს: სამასწავლებლო, სატეხნიკო და საზოგადო საქმეთა. ამასთანავე მოხელეთ ჯამაგირიც მოემატებათ.

◆ მთავრობას ჯერ-ჯერობით შეუძლებლად მიაჩნია შემოსავლის გადასახადის შემოღება.

◆ როგორც „იუ. კრ.“-ს დეპეშით აცნობებენ, მდგომარე წლის პირველ შვიდი თვის განმავლობაში სახელმწიფო შემოსავალი ყოფილა: ჩვეულებრივი 1,070 მილიონი მანეთი, გასულ წლისაზე 81 მილიონ მანეთით მეტი, საგანგებო—152 მილიონი მანეთი, წინა წლისაზე 44 მილიონ მანეთით ნაკლები; ხარჯი ყოფილა: ჩვეულებრივი 1,079 მილონი მანეთი, საგანგებო—68 მილიონი მანეთი.

◆ სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურმა საზოგადოებამ, რომელიც ორს წელიწადს არსებობდა პეტერბურგში (1901 წლის შემოდგომიდან 1903 წლის გაზაფხულამდე), სამუდამოდ შესწყვიტა არსებობა. აგრეთვე შეუწყვეტიათ ამ საზოგადოების ჟურნალი, „ნოვი პუტი“-ს გამოცემაც. როგორც ამბობენ, ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ ჟურნალის მოსპობისა უნდა იყოს ხელის-მომწერთა სიმცირე.

პრესსა

„ნოვ. კრაი“ ისევ ეხება საკითხს რუსებსა და ჩინელებს შორის ურთიერთობის შესახებ შორეულს აღმოსავლეთში. ოფიციალური გაზეთი დიდ უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ ჩინელებს მეტად ცუდათ ეპყრობიან ყველანი: დიდი და პატარა, უჩინო და ჩინიანი, სუსტი და ძლიერი, ქალი და კაცი. გაზეთი ამბობს:

> განათლებულმა ქალმა ამას წინად მოითხოვა ჩინელის დასჯა როზგით სულ უბრალო მიზეზისა გამო. ჩინელმა თურმე უცაბედათ ხელი წაჰკრა ამ ქალს ბაზარში, სადაც აუარებელი ხალხი ტრიალებდა და ამის გამო დიდი ვიწროობა იყო. ქალმა იწყინა და ადმინისტრაციას გამოუცხადა. ჩინელს 15 მანათი ჯარიმა მიუსაჯეს. მაგრამ ქალი ამით არ დაკმაყოფილდა და ჩინელის გაროზგვა მოითხოვა.
>
> როგორ მოგწონთ „ინტელიგენტ“ ქალის ასეთი საქციელი? უბედურება ის არის, რომ ასეთი ამბავი შორეულს აღმოსავლეთში ხშირია, თითქმის ჩვეულებრივი. ვინ ჩამოსთვლის რამდენი ჩინელი მოსამსახურე გაქცევია „ხაზაინ“-ებს მხეცურ წვალებისა და საზიზღარ მოპყრობისა გამო? რამდენს შეხვდებით ხოლმე ქუჩებში ჩინელთ, რომელთათვის „განათლებულ“ რუსთ ცხვირპირი დაუსისხლიანებიათ? ეს შემთხვევითი და არა ჩვეულებრივი ფაქტები კი არ არის, ეს მთელი ისტორიაა ორ ტომთა ურთიერთობისა.

გაზეთი მიჰმართავს შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ რუსთ და ველურობას უკიჟინებს მათ; ურჩევს თავი შეიკავონ და ადამიანურად მოეპყრნენ ჩინელთ. დასასრულ ამბობს:

> თუ ჩვენ, რუსებს, არა გვსურს შეურიგებელ მტრებად გადავიკიდოთ შორეულს აღმოსავლეთში ჩინელები, საჭიროა, რაც შეიძლება, მალე მივიღოთ ღონისძიებანი ორთავე ტომის მცხოვრებთა ურთიერთობის გაწესრიგების შესახებ. უნდა მტკიცედ აღვნიშნოთ და დავიცვათ ჩინელის ადამიანური უფლებანი. როდესაც კანონი შეიძლებს ჩინელთა დაცვას შევიწროებისა და შეურაცხყოფისაგან, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩინელთა და რუსთა მეგობრობაზე ლაპარაკი.

თავის მხრით „პეტერბ. ვედომ.“ ამ სტრიქონებს დასძენს:

ფელეტონი

საინტერესო შედარება*)

ინგლისი სამრეწველო ქვეყანააო, სწერენ და ამბობენ ყველანი, ამიტომ ბევრსა ჰგონია, რომ სასოფლო მეურნეობა ინგლისში დაცემულია. მართალია, ინგლისის მცხოვრებთა 80% საქარხნო წარმოებაშია და მხოლოდ 20% მისდევს სასოფლო მეურნეობას, მაგრამ ამ მცირე ნაწილსაც ისე კარგადა აქვს საქმე დაყენებული, რომ უზარმაზარ რუსეთზე მეტი ნაწარმოები მოჰყავს. როგორც რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშიდანა სჩანს, რუსეთის სასოფლო მეურნეობა წელიწადში იძლევა $1^1/_2$ მილიარდ მანეთის საქონელს (ჩათვლილია ხე-ტყის შემოსავალიც), ხოლო ინგლისის სასოფლო-მეურნეობა—ორ მილიარდ მანეთისას.

არსად მუშა კლასი ქალაქად თუ სოფლად ისე უზრუნველ ყოფილი არ არის (რასაკვირველია, შედარებით), როგორც ინგლისში. ინგლისში სამუშაო ფასი მეტია, ვიდრე სხვაგან სადმე, ხოლო ცხოვრება იაფი. ინგლისის მუშა შრომისთვის სხვებზე მეტს სასყიდელს იღებს, ამავე დროს, სიიაფისა გამო, ნაკლებსა ჰხარჯავს სანოვაგისა და სხვა საოჯახო საქონლის შეძენაზე. არ იფიქროთ, რომ მარტო ქალაქისა და ქარხნის მუშა იყოს ამ მდგომარეობაში. იმ გარემოებამ, რომ ინგლისში ადგილ-მამული თითქმის სულ ლენდ-ლორდების ხელშია, ცრუ აზრი დაჰბადა ინგლისის სოფლის მუშათა და ფერმერთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. რუსეთსა და ჩვენში ბევრსა ჰგონია, რომ ინგლისის სოფლელი მუშა ბევრად უფრო საცოდავ მდგომარეობაშია, ვიდრე, მაგალითად, ჩვენებური გლეხი. ნამდვილად-კი ინგლისელი ბოგანო ჩვენებურ ადგილ-მამულიანს ბევრად გადააჭარბებს. სოფლის მუშა, ბოგანო, რომელიც სხვასთან მოჯამაგირედ არის, წელიწადში ორთა შუა რიცხვით იღებს: უელსში—400 მან.. საკუთრივ ინგლისში—409 მან. და შოტლანდიაში—440 მან. სახლის ქირა და გათბობა ასეთ კაცს დაუჯდება 50—60 მან., დანარჩენი ოჯახზე. თუ ბოგანოს ცოლ-შვილიცა ჰყავს, ცოტა რამეს ისინიც მიუმატებენ (ბავშვები მუშაობენ ხოლმე სკოლაში მეცადინეობის შემდეგ). რა თქმა უნდა, ფერმერი ბევრად მეტს აიღებს.

ინგლისის მცხოვრებთა უმრავლესობის მოთხოვნილება ძალიან გაიზარდა და ეს გარემოება ყველაზე ნათლად მოწმობს, რომ ხალხი შედარებით კარგ მდგომარეობაშია. ზემოდ უკვე ვთქვით, რომ ინგლისის სასოფლო მეურნეობა წელიწადში ამზადებს 2 მილიარდ მანეთის საქონელსაო—პურს, ხორცს, რძესა და სხვა სანოვაგეს. ეს ამოტელა სიმდიდრე ინგლისის მცხოვრებთ არა ჰყოფნით და, როგორც ნამდვილად გამოანგარიშებულია, 2 მილიარდ მანეთის სანოვაგე კიდევ სხვა შეაქვთ ინგლისში. რუსეთის სასოფლო მეურნეობა ამზადებს $1^1/_2$ მილიარდ მანეთის საქონელს. აქედან თითქმის ნახევარზე მეტი საზღვარ-გარედ გააქვთ. ამ რიგად, აი, რა გამოდის: ინგლისის 40 მილიონი მცხოვრები, წელიწადში გიაალებათ 4 მილიარდ მანეთის პურს, ხორცს და სხვა სანოვაგეს, რუსეთის 130 მილიონი მცხოვრები-კი—700-800 მილიონ მანეთის სანოვაგეს! რუსეთის იმპერიის გლეხი რომ იმის ნახევარს მაინცა სჭამდეს, რასაც ინგლისის ქალაქელი და სოფლელი მუშა სჭამს, წელიწადში რუსეთს სულ ცოტა 5 მილიარდ მანეთის სანოვაგე მაინც დასჭირდებოდა. პური, ხორცი, რძე, ყველი, ერბო, კვერცხი, ხილი და მწვანილი ინგლისში შეაქვთ მილიარდ ექვსას მილიონ მანეთისა, შაქარი შეაქვთ 150 მილიონ მანეთისა, მარტო ხილი და მწვანილი შედის 110 მილიონისა, კვერცხი და შინაური ფრინველი 80 მილიონ მანეთისა. „ბედნიერია ის ერი, რომელსაც თავის გამოსაკვებად, ჩასაცმელად და კარგად საცხოვრებლად ამდენ ფულის გაღება შეუძლიან, და უბედურია ის, რომელიც უსაჭიროესს საგნებსა ჰყიდის და თითონ-კი ნახევარზე მშიერი, ჩაუცმელი და დაუხურავი რჩება“.

ინგლისზე ხშირად ამბობენ, სხვა ერებს სისხლსა სწოვს, ყველაფერს ართმევს და თვითონა ხმარობსო. ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებაა. ინგლისის კოლონიებს კეთილდღეობით ვერც ერთის სახელმწიფოს ხელქვეითი ერი ან ხალხი ვერ შეედრება. ასახელებენ უფრო ხშირად ინდოეთს. როგორც ეხლა სხვა სახელმწიფონი დაპყრობილ ერებს ექცევიან, ინგლისი ინდოეთს ასე ექცეოდა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. ინგლისმა ინდოეთი ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ იმის გაძლიერებას, წინსვლას ვერაფერი შეაფერხებს და ვერც აფერხებს. ერთია მხოლოდ მხედველობაში მისაღები: 300 მილიონიან ხალხის ერთბაშად ამაღლება ადვილი არ არის. სხვა რომ არა იყოს რა, ინგლისი პროტექციონიზმის შემწეობით მაინც არ ავიწროვებს უმრავლესობას. ინგლისი ყველაზე მეტსა ზრუნავს მუშა ხალხისთვის, საზოგადოდ—მცხოვრებთა უმრავლესობისათვის. ფრანგი ერთ საწყაო პურში იხდის 25 ფრანკს, ხოლო ინგლისელი—18 ფრანკს. ნამდვილი ფასი ეს უკანასკნელია, რადგან პირველი მფარველობით სისტემის მეოხებით არის აწეული. მარტო პურში საფრანგეთის მცხოვრებნი 300 მილიონ მანეთით მეტს იხდიან, ვიდრე ნამდვილადა ღირს. ეს ზედმეტი ფული ძალიან მცირე ნაწილის, ე. ი. მდიდარ მემამულეთა, ჯიბეში ჩადის. ნამდვილი ფასი ერთ ფუთ შაქრისა $1^1/_2$ მანეთია. სწორედ ამას იხდის ინგლისელი, რუსის ქვეშევრდომი-კი ერთ ფუთ შაქარში აძლევს $4^1/_2$ მანეთს.

პროტექციონიზმს ორნაირი ზარალი მოაქვს: აძვირებს ყველაფერს და აფერხებს ხალხის მოთხოვნილების ზრდას. ამრიგად შინაური ბაზარი გაფართოვების ნაცვლად თითქმის ვიწროვდება. თვით ის დარგი მეურნეობისა, რომლისთვისაც პროტექციონიზმია დაწესებული, წინ სვლის ნაცვლად უკან

---

*) მ. ენგელგარტის წერილი გაზ. „ნოვოსტ“-ში.

ძალიან სასიამოვნო მოვლენაა და თანაც იმედის მომცემი, რომ ასეთი სტრიქონები წავიკითხეთ მთავრობასთან ახლო მდგომ გაზეთში.

⁂

„ცერკოვნ. ვესტნიკ“-ი „ინოროდცებს“ იცავს გადამეტებულ პატრიოტიზმით შეპყრობილ ზოგ პუბლიცისტებისაგან. „ვიატსკი ვედომ.“-ში ვიღაც A. B. C.-ს უცნაური წერილი დაუბეჭდია, რომელშიაც თავის გაკვირვებას აცხადებს, რათ ითარგმნება სამღრთო წერილი „ინოროდცების“ ენაზედაო? ავტორის აზრით,

> ქრისტიანობის გამტკიცებისა და გავრცელებისათვის სრულიადაც საჭირო არ არის განუვითარებელ მკვიდრთა ენებზე ითარგმნებოდეს სამღრთო წერილი, ლოცვები, სახელმძღვანელოები და სხვა ამგვარი. მართლაც, ვისთვის არის საჭირო ეს უცნაური ნათარგმნი ლიტერატურა? სკოლებისათვის ხომ სულ მეტია, რადგან მკვიდრთა შორის არსებულ სკოლის მთავარი საგანია რუსულ ენის გავრცელება; აგრეთვე მეტია ნათარგმნი ლიტერატურა იმ მკვიდრთათვის, რომელთაც რუსული ენა იციან, რადგან ნათარგმნ ლიტერატურას შეუძლია დაავიწყოს ყოველი, რაც სკოლაში შეუძენია. გარდა ამისა საშიში და სახიფათოა ის გარემოება, რომ თვით თარგმანები უთუოდ სუსტი და ნაკლულევანებით სავსე უნდა იყოს, რადგან მკვიდრთა ენები ღარიბი და განუვითარებელია და მათის შემწეობით არ შეიძლება სალმრთო წერილის ღრმა აზრების ნამდვილი გადაცემა. ვინ არის თავდები, რომ ამ მხრით ჩვენ სარგებლობის მაგიერ ვნებას არ მოვუტანთ მკვიდრს და დამახინჯებულად არ შევათვისებინებთ ქრისტეს სჯულს?..

მაგრამ ავტორს იმდენად ქრისტიანობის გავრცელებაზე არ ეწვის გული, რამდენად სხვა საგანზე. „ცერკოვნ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ავტორს ძალიან ჰსურს გააერთიანოს მკვიდრთა გაქრისტიანებისა და ამავე დროს მათი გარუსების საქმეც. ის სწერს:

> ჩვენ, რუსები, ვცდილობთ მკვიდრთა შორის განათლება იმათისავე ენის შემწეობით გავავრცელოთ, ვთარგმნით მათთვის რუსულ წიგნებს, მათ ენაზე ვასრულებთ ღვთის მსახურებას და ყოველივე ამით ხელს ვუშლით მათ გარუსების საქმეს ახლო მომავალში.

ამის გამო „ცერკოვნ. ვესტნიკ“-ი სამართლიანად შეჰნიშნავს, რომ საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკასა და სარწმუნოებას, რომ მკვიდრთა შორის ქრისტიანობის გავრცელება და მათი გარუსება ორი სხვა-და-სხვა საქმეა.

მიუხედავად ამისაო, ამბობს გაზეთი, რომ მკვიდრთა სკოლებში ადგილობრივ ენაზე სწარმოებს სწავლა და მათ ეკკლესიებში ღვთის მსახურება დედა-ენაზე სრულდება, ქრისტეს სჯულის განმტკიცების საქმე მაინც გაძნელებულია. როგორღა წავა საქმე, თუ მკვიდრი სკოლასა და ეკკლესიაში უცხო და გაუგებარ ენის მეტს ვერაფერს გაიგონებს? მაშინ არა-თუ სარწმუნოების საქმე, თვით გარუსების პოლიტიკაც შეფერხდება.

თეატრი

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს ისტორიული დრამა „პატარა კახი“. ეს პიესა, როგორც გამოცხადებული იყო, გაიმეორეს „საზოგადოების სურვილით“, თუმცა საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო. წარმოდგენამ უხეიროდ ჩაიარა, ბევრად უფრო უშნოდ და ულაზათოდ, ვიდრე პირველი წარმოდგენა იყო. არაფერში მომზადება არტისტებს არ ეტყობოდათ. ისე ლაპარაკობდნენ, დადიოდნენ და იქცეოდნენ, თითქოს ეძინებათო. ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა, ბ-ბმა ყიფიანმა და სვიმონიძემ როლები არ იცოდნენ, განსაკუთრებით პირველმა ორმა. ბ-ნი ყიფიანი ისე ლუღლუღებდა, რომ ეშმაკიც ვერ გაარჩევდა, რას ამბობდა და რას არა. ქ-ნი ჩერქეზიშვილი როლის უცოდინარობისავე გამო ძალზე სტკეპნიდა და თუთიყუშივით ისროდა თითოთითო სიტყვას. ბ-ნი სვიმონიძე კიდევ ყველაფერს ამბობდა, რაც-კი ენაზე მოადგებოდა. არც სხვები სჯობდნენ ამათ. ყველაზე კარგად, ხმა მაღლა და გარკვევით ისევ სუფლიორი ასრულებდა თავის როლს: იმისი მჭექარი ხმა მთელ დარბაზში ისმოდა.

სწორედ გასაკვირველია ჩვენის თეატრის გამგეთა საქმე! თუ ეშურებოდნენ, რატომ ისე მაინც არ წარმოადგინეს, რომ საზოგადოებას თეატრში მისვლით თავ-ბედი არ ეწყევლა! გასაკვირველია ჩვენი არტისტების საქმეც: ათი, თხუთმეტი წელიწადი ერთსა და იმავე პიესას თამაშობენ და როლები მაინც არ იციან. ასეთ წარმოდგენების შემდეგ, ყველას გული აუცრუვდება.

—

ხვალ, 2 ნოემბრისთვის, ვეტცელის თეატრში დანიშნულია რუსულ-ქართული წარმოდგენა. ამ წარმოდგენას ჰმართავენ სცენის მოყვარენი ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთაგან. რუსულად დანიშნულია „უდანაშაულოდ დასჯილნი“, ქართულად—„დედის ერთა“.

წერილი თელავიდან

ჩვენი მამები.—სამკურნალო.—ნანგრევები.—აბანოს მოუწყობლობა.

„სულ ძილი ძილი, როს გვეღირსების ჩვენ გადვიძება“, ეს სიტყვები სწორედ აქაურ მამებზე ითქმის. თელავს უფრო სახელისთვის ჰყვანან მამანი, თორემ საქმით-კი, აბა რაში ეტყობათ? რისთვისა ზრუნავენ, სწავლა-განათლებისთვის, მცხოვრებთა ჯანმრთელობისთვის, მათ კეთილდღეობისა თუ სიამოვნებისათვის? ეს-კია, არა სცალიანთ, ეხლა შემოდგომაა, ეს თვეები ვაჭრობის ბუდაზია, ზოგი სოფლებში დაიარება და ზოგიც დუქნებში უხვდება სოფლიდან მოსულ სიკეთეს. თელავი-კი ღვთის ანაბარად და ბუნების მოვლენაზეა დამოკიდებული. მაგ. ნიაღვრისაგან გაფუჭებულ გზებს ისევ წვიმა და ღაფი ასწორებს, ქუჩებში გადაყრილ ნაგავს წვიმის წყალი ჰრეცხს და მიაქვს, წვიმის დროს დამდგარ გუბეებს მზე ჯერ აღშრობს და მერე ორთქლად უძღვნის მცხოვრებთ, გზებზე დადებულ მტვერს წვიმა ჭშველის და ტალახს—მზე და კიდევ სხვა. მაგრამ „კარგი რამ გვჭირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია“. ჰაი, ჰაი რომ ასეა, ჩვენი ავი საკვირველი არ არის...

ეჭვს გარეშეა, საავადმყოფოს საჭიროება და სარგებლობა ყველას კარგად ესმის. სოფლელნიც-კი წვლილს არ იშურებენ ამ საქმისთვის და სამკურნალოებს იარსებენ. თელავიც შეიძრა და კარგა ხანია გადასწყვიტა საავადმყოფოს დაარსება. მაგრამ აქამომდე საქმით ვერ განახორციელა. ასევეა ფურნის გახსნის საქმე. გადაწყვეტილი ჰქონიათ, საქალაქო პურის საცხობის გახსნა, მაგრამ ამასაც საქმით ჯერ ვერ ვხედავთ, მხოლოდ სიტყვიერად-კი ქაღალდზე ბევრი დაიწერება.

ქალაქის ბაღის მახლობლად 1891 წელს დამწვარი სამაზრო სამმართველოს ნანგრევები იმყოფება. ეს ნანგრევები სობოროს ახლოა და ამას გარდა ხშირ უბანში. ადგილი უპატრონოდ არის მიტოვებული, არც ღობე აქვს და, რასაკვირველია, უწმინდურების ბუდედ არის გადაქცეული. სასანიტარო კომისიას ყურადღება მიუქცევია, მეზობლებსაც უთხოვნიათ, ვისთვისაც ჯერ არს, იმისი დაქცევა, მაგრამ ჯერ ისევ ხელ-უხლებელია. ამ ადგილს-კი ბევრი თხოულობდა: წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობა თხოულობდა საავადმყოფოს ასაშენებლად; სასულიერო უწყება სამრევლო სკოლებისთვის და, მგონი, საქალაქო სასწავლებელიც. შუამდგომლობანი დიდი ხანია აღძრულია, მაგრამ აქამომდე ვერც ერთი ვერ დაბოლოვდა. საჭიროა იმ პატარა ბილიკსაც ყურადღება მიექცეს, რომელიც სობოროს უკან ჩადის გვირაბისაკენ. არც აქაურ ერთად-ერთ აბანოშია წესრიგი. აბანოში ორი განყოფილებაა—კერძო და საზოგადო, მაგრამ ხან ორივეს კერძოდ (საათობით) აქირავებენ და მსურველთ მთელი საათი უხდებათ ლოდინი. ამას გარდა არავითარი წესები და არც ნიხრი არა აქვთ, რომ კაცს შეეძლოს იმისი მოკითხვა.

—შვილი

წერილი მოსკოვიდან

წლიური აქტი ლაზარევის ინსტიტუტში

მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში 24 ოქტომბერს გაიმართა წლიური აქტი, რომელსაც პროფესორ-მოწაფეთა გარდა დაესწრნენ გარეშე პირნი და უმაღლეს სასწავლებელთა ზოგიერთი სტუდენტები—ამ ინსტიტუტის ნამოწაფარნი. ბ-ნ პერვოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ ვიქტორ ჰიუგოს ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ, ინსტიტუტის დირექტორმა გ. თ. მილლერმა წაიკითხა წლიური ანგარიში, რომელშიაც აღნიშნა, სხვათა შორის, ერთი ფრიად საინტერესო გარემოება,—სახელდობრ ისა, რომ წარსულ წელს საგიმნაზიო პროგრამაში შეტანილმა ცვლილებამ კეთილი გავლენა იქონია სწავლის საქმეზე: მოწაფეებმა მეტი უნარი გამოიჩინეს სწავლაში და [illegible] კლასში გადასულთა რიცხვმა მიაღწია 90%, ჯერ არ ყოფილ პროცენტამდე. ასეთია შედეგი ერთ მხრივ ძველი ენების განდევნისა და მეორე მხრივ სამშობლო ენის, ბუნებისმეტყველების და ისტორიის გაკვეთილების გამრავლებისა. „სტატისტიკურმა ცნობებმა და პირადმა დაკვირვებამ დამარწმუნა ხსენებულ ცვლილების სარგებლობასაო“, სთქვა ბ-ნმა მილლერმა. მოყვანილი აზრი პატივცემულ მეცნიერ-პედაგოგისა ფრიად საგულისხმოა ყველა იმათთვის, ვისაც აინტერესებს სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მაგალითი მიუბაძავი არ დარჩება და სხვა სასწავლებლის უფროსნიც თავიანთ დაკვირვებას აუწყებენ საზოგადოებას ძველი ენების უმნიშვნელობაზე დასაბუთებულ აზრის შესადგენად და ურწმუნო თომების დასარწმუნებლად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, როგორც ბ-ნი მილლერი ჰმოწმობს, ამ ბოლო დროს საზოგადოებაში გაიღვიძა აღმოსავლეთის ენების შესწავლის ინტერესმა. ამის გამო ინსტიტუტის საპედაგოგიო საბჭომ საჭიროდ სცნო საღამოს კურსების დაარსება სპარსულ, არაბულ, ოსმალურ, თათრულ და ქართულ ენებისა. უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ ხსენებულ კურსებზე ასწავლიან მუქთად, ხოლო გარეშე პირთ მცირე ფასით—3 მანათად წელიწადში.

შემდეგ ჩვენმა თანამემამულემ პროფ. ხახანაშვილმა წაიკითხა ინსტიტუტის პროფესორების მოღვაწეობის შესახებ და ჩამოსთვალა იმათი სამეცნიერო წერილები, რომელიც დაიბეჭდა სხვადასხვა დრო-გამოშვებით გამოცემაში საანგარიშო წელს. სხვათა შორის, არის წერილები შესახებ საქართველოსი, და ესენი მომეტებულ ნაწილად ეკუთვნიან თვით ბ. ხახანაშვილს.

საპედაგოგო საბჭოს მდივანმა წაიკითხა გვარები კურს-დამთავრებულთა და იმათიც, ვინც დაჯილდოვებულ იქმნენ კარგის სწავლისათვის. სამწუხაროდ, ასეთი სიმპატიური სასწავლებელი, როგორიც არის ლაზარევის ინსტიტუტი, ჯერ ვერ ასცილებია ხავს-მოკიდებულ ტუქსვა-დაჯილდოვების სისტემას... დასასრულ, მოწაფეთა გუნდმა მწყობრად შეასრულა რამდენიმე რუსული და სომხური სიმღერა.

ე. ხ.

პატარა ფელეტონი

ქართული თეატრის რეპერტუარი

შემთხვევით ხელში ჩამივარდა ქართულ თეატრის ამ სეზონის რეპერტუარი, რომელიც შეუდგენიათ ჩვენის თეატრის ბედ-იღბალის გამგეებს. იმედია, არც დრამატიული საზოგ. გამგეობა და არც სხვა ვინმე არ დამემდურება, თუ იმათ ნაშრომ-ნაღვაწს გამოვაქვეყნებ. თავმდაბლობა და მარტივობა დიდი საქონელია, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი არ ვარგა. რატომ ახლავე არ უნდა დააფასოს ქართველმა საზოგადოებამ ნამდვილი შრომა და ღვაწლი? რა საჭიროა მაინცა და მაინც სეზონის გათავებას მოვუცა-

---

მიდის. ავიღოთ ინგლისისავე სასოფლო-მეურნეობა. როგორც ვუწყით, შინაურ სასოფლო მეურნეობის დასაცველად საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვაგან, ინგლისს გარდა, მფარველობითი სისტემაა. ვინ არ იცის, რომ ამერიკას ამ ბოლო დროს დიდ-ძალი სასოფლო ნაწარმოები, განსაკუთრებით პური, შეაქვს ევროპაში. ამერიკას ამაში ხელს უწყობს დიდ-ძალი მიწა-ადგილი, ამასთან მდიდარ ნიადაგიანი და მოულალავ-მოუქანცავი. ამერიკამ იმდენი პური შეიტანა ევროპაში, რომ ადგილობრივმა პურმა მეტოქობა ვეღარ გაუწია და გაჩნდა კრიზისი. ევროპას ორი გზა ჰქონდა: ან უნდა დაეთმო ამერიკისათვის ბაზარი და თითონ პურის ნაცვლად სხვა მცენარეების კულტურას შესდგომოდა, ან დიდის ტარიფებით გზა უნდა შეეკრა ამერიკულ პურისთვის. ინგლისმა პირველი გზა აარჩია, დანარჩენმა ევროპამ—მეორე. საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვაგან აგრარებმა ერთი ვაი-ვაგლახი ასტეხეს. განუწყვეტლივ თხოულობენ ბაჟების მომატებას სხვა ქვეყნის სოფლის ნაწარმოებზე. ამ ბაჟების მეოხებით გერმანიის ხალხი, მაგალითად, სოფლის ნაწარმოებში, ე. ი. სანოვაგეში, 500 მილიონ მანეთით მეტს იხდის, ვიდრე უნდა გადაიხადოს. ასევეა საფრანგეთში და სხვაგან.

სულ სხვანაირად მოიქცა და იქცევა ინგლისი. როდესაც ამერიკამ თავის ნაწარმოებით ევროპის ბაზარი გაავსო და აგრარებმა ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს, ინგლისის მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია და არავითარი მფარველობა არ გაუწია სოფლის მეურნეებს. თქვენ იცით და თქვენმა ოსტატობამ; როგორც გინდათ, ისე გაუმაგრდით მეტოქეს: თუ შესძლებთ ბრძოლას, თქვენვე მოიგებთ, თუ ვერა და გაკოტრდებით; ასე თუ ისე, ხალხი მაინც მოგებაში იქმნება, რადგან პურს, ხორცს, ყველს და სხვა სანოვაგეს იაფად იყიდისო. ასე ამბობდა მაშინ ინგლისის მთავრობა. სასოფლო-მეურნეობა ამ რიგად ღვთის ანაბარა დარჩა. ბევრს ეგონა, ინგლისი ვერ გაუძლებს ამერიკის კონკურენციას და სასოფლო-მეურნეობა მოისპობაო. ინგლისის მეურნეს პური იმავე ფასად უნდა გაეყიდნა, რა ფასადაც ამერიკიდან მოტანილი იყიდებოდა, თუმცა მუშა ხელი ინგლისის სოფელში ბევრად უფრო ძვირად ფასობდა და ფასობს, ვიდრე ამერიკასა და კონტინენტზე.

ამისდა მიუხედავად დღეს სოფლის მეურნეობა არსად ისე აყვავებული არ არის, როგორც ინგლისში. ჯერ ერთი: ინგლისში უფრო ძლიერი ინტენსიური სისტემაა მიწათ-მოქმედებისა, ვიდრე სხვაგან სადმე. დაუხნავი, დასვენებული მიწა ინგლისში მთელ სახნავ ადგილ-მამულის 1,78 პროცენტს შეადგენს, გერმანიაში—5,6 პროც., საფრანგეთში—13 პროც., მაშასადამე, ინგლისში მიწას თითქმის სულ არ ასვენებენ. უფრო საყურადღებო-კი ის არის, რომ ისეთი დიდი მოსავალი, როგორც ინგლისში, არსად ევროპაში არ მოჰყავთ. აი, ორთა შუა რიცხვით 1890—99 წლ. ერთ დესეტინაზე რამდენი ფუთი მოვიდა:

	ინგლისში.	გერმანიაში.	საფრანგეთში.
პური	135,3	116	80,2
ქერი	126,6	111	77,3
შვრია	117,7	102	74,1

ამ რიგად, მოსავლიანობა ინგლისელების მიწა-ადგილისა 15 პროცენტით აღემატება გერმანელებისას და 64 პროცენტით ფრანგებისას. საქონლის მოვლა-მოშენებაც უკეთ არის დაყენებული ინგლისში, ვიდრე სხვაგან სადმე. 1900 წელს 1000 გექტარ მოხნულ მიწაზე მოდიოდა:

ინგლისში	940	სული საქონელი
გერმანიაში	823	„ „
საფრანგეთში	648	„ „

ამ რიგად, რაოდენობით ინგლისი სჭარბობს გერმანიასა და საფრანგეთს. ღირსებით ხომ შედარება არც-კი შეიძლება: ინგლისის საქონელი ვერც საფრანგეთისა, ვერც გერმანიისა და ვერც სხვა რომელისამე კუთხის საქონელს გვერდში ვერ ამოუდგება.

ზემოდ უკვე ვთქვით, რომ სასოფლომეურნეობა ინგლისში იძლევა ორ მილიარდ მანეთამდე ნაწარმოებსაო (1,937,749,000 მან.). ამის-და მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, ერთის გექტარის შემოსავალი უდრის $96^1/_3$ მანეთს. გერმანიის სასოფლომეურნეობა იძლევა $3^1/_3$ მილიარდ მანეთს, ერთის გექტარის შემოსავალი უდრის 87 მანეთს, ე. ი. ერთ გექტარ ადგილზე გერმანელს $9^1/_3$ მანეთით ნაკლები მოსავალი მოჰყავს, ვიდრე ინგლისელს.

როგორცა ჰხედავთ, ინგლისის ღვთის ანაბარა დატოვებული სასოფლო-მეურნეობა არამც თუ ჩამორჩა გერმანიისა და საფრანგეთისას, წინაც წავიდა. საფრანგეთში ხალხის გაყვლეფის სისტემამ, რომელსაც სახელად პროტექციონიზმი ჰქვიან, სულ ერთიან შეაფერხა ტეხნიკური განვითარება მიწათ-მოქმედებისა. გერმანიაში პროტექციონიზმს ჯერ კიდევ არ ჩაუკლავს სოფლის მეურნეთა მხნეობა: იქ ყოველ საშუალებასა ხმარობენ მიწათ-მოქმედების ასაყვავებლად. თუ აგრონომის თვალით შევხედავთ საქმეს, გერმანიის მიწათ-მოქმედება ყველაზედ უფრო საინტერესოა. მაგრამ მოსავლიანობის მხრივ ინგლისის მიწათ-მოქმედებამ მაინც ყველას გაუსწრო. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ სოფლის მეურნეებს ინგლისში არავითარი სუბსიდია არ ეძლეოდათ მცხოვრებთაგან, ამიტომ ბაზრის ცვალებადობას მეურნენი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს და სცდილობდნენ შეცვლილ პირობებს შეჰფარდებოდნენ. როდესაც ინგლისის სოფლის მეურნეებმა დაინახეს, რომ ჰვავის თესვა საზარალოა, სრულიად თავი მიანებეს. ასევე მოექცნენ სხვა მცენარეებს: პურის თესვა ერთი ორად შეამცირეს და ამის ნაცვლად შეუდგნენ საქონლის მოვლა-მოშენებას, რომელიც ორჯელ მეტს იძლეოდა და დღესაც იძლევა.

ყველა ამას მეტად ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა: ინგლისში მიწათ-მოქმედება განვითარდა, მოსავალმა იმატა, სოფლის მუშის ფასმა აიწია და უსაჭიროესი სანოვაგე—პური, ხორცი და სხვა—გაიაფდა.

—ძე

დოთ, როცა წინდა-წინვე შეგვიძლიან ვუძღვნათ მადლობა და ქება ღირსეულად მოვალეობის ასრულებისათვის.

შეიძლება, მკითხველთა შორის აღმოჩნდეს ისეთი სკეპტიკი, ურწმუნო თომას ღირსეული ჩამომავალი, რომ არ ირწმუნოს წინადვე შემუშავებული გეგმის აღსრულების უნარი ჩვენის თეატრის მამა-პატრონებისა. მაგრამ ვფიცავ მადლა ღმერთსა და ქვევით ჩვენ მშობელ მიწას, რომ ასეთი სკეპტიციზმი ყოვლად უნიადაგოა. შემუშავებულ გეგმის ასრულების უნარიცა და ნიჭიც საკმაოდ მოეპოვებათ ჩვენს თეატრში.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია დედა აზრი ამ გეგმისა. ევროპას ბევრი კარგი და ჩინებული დრამატურგი ჰყავს, იქ ბევრი ახალი და მდიდარი შინაარსიანი პიესაა; ჩვენში-კი ამ მხრივ დრამატიული ხელოვნება ერთობ კოჭლობს და ჩვენი რეპერტუარი ღარიბზე უღარიბესია რაოდენობითაც და თვისებითაც. მაგრამ აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ ხან-და-ხან ეს მდიდარი შინაარსიანი პიესებიც უნდა დავსდგათ ქართულ სცენაზეო. ვინც ამას ამბობს, იმას არც ხელოვნებისა და არც ლოღიკისა არა გაეგება-რა. ხომ გაგიგონიათ, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო, კარგ და ახალ პიესასაც კარგი მსმენელი უნდა.

ამიტომაც დრამატიულ კომიტეტისა და ბ-ნ რეჟისორის სასტიკის დადგენილებით არც ერთი ახალი პიესა არ დაიდგმება ქართულ სცენაზე. თუ მაინცა და მაინც გაჯიუტდებიან და ევროპიულ პიესებს მოითხოვენ, „ორი ობოლი“, „ორი ჯიბგირი“, „ორი დარაჯი“, „კოვერლეის მკვლელობა“, „გაძარცული ფოსტა“ და სხვა ამგვარები ხომ მზადა გვაქვს. თუ გაზეთები კიდევ დაიწყებენ ყაყანს და ახალ პიესებს მოითხოვენ, თავის გამართლებაც ადვილად შეგვიძლიან: ვერ მოვართვით ახალი პიესა, რადგან თქვენი რეცენზენტები გვიშლიან ხელს: ახალი პიესები რომ დავდგათ, ისეთ რეცენზიას დაგვიწერენ, რომ არტისტები სულ გაგვიფუჭდებიან— ჩხეიძის ქალი, მაგალითად, წამების შემდეგაც მოჭმუხნის სახეს ტანჯვის გამოსახატავად, როცა ტანჯვა უკვე გავლილი იქნება.

ყველა მოსაზრებათა გამო საბოლოოდ შემუშავდა შემდეგი რეპერტუარი:

კვირას—კოვერლეის მკვლელობა.
ხუთშაბათს—მზის დაბნელება.
კვირას—ორი ობოლი.
ხუთშაბათს—კუდურხანუმ.
კვირას—სამშობლო.
ხუთშაბათს—პატარა კახი (საზოგადოების სურვილით).
კვირას—პატარა კახი და ბუტიაობა (არტისტებისა და საზოგადოების სურვილით).
ხუთშაბათს—მზის დაბნელება და მშვენ. ელენეს მაძიებელნი.
კვირას—ჭირვეული ცოლის მორჯულება (გამგეობის წევრთა, რეჟისორისა, არტისტებისა და კაპელდინერების სურვილით).
ხუთშაბათს—კუდურხანუმ.
კვირას—ორი ობოლი.

და ასე ამგვარად სეზონის გათავებამდე. ცოტა არ იყოს, სათაქრებელია სამშაბათობით წარმოდგენები. გაი თუ ზოგი არტისტი გაჯიუტდეს და ახალ პიესის დადგმა მოისურვოს, მაგრამ ღმერთია მოწყალე! დიდი ბეჯითობა ჩვენ არტისტებს არ უყვართ და აბა საიდან უნდა შეისწავლონ ახალი როლები. ის არ ურჩევნიათ ერთხელ გაზეპირებული პიესები ჩააბულბულონ სცენაზე. ამ მხრივაც არ მოელის შიში პროგრამის დედააზრის შერყევასა და ამგვარად მთელ ამ სეზონს მიეცემა მთლიანი, ერთგვარი ხასიათი, რაც აუცილებელია ყოველ დინჯ მოღვაწეობისათვის.

!?

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 **ოქტომბერი**

პორტ-არტური. გემ „შობრის“ 26 მეზღვაურს 300-მდე იაპონელი მუშა დაეცა. იაპონელებს ნაირ-ნაირი იარაღი ჰქონდათ. რუსები შიშველის ხელით იგერიებდნენ იაპონელებს, უკუ-აქციეს და საჩქაროდ გემში ჩასხდნენ, მაგრამ იაპონელებმა იქაც ქვები დაუშინეს და ბევრი დასჭრეს. იაპონელებს ეგონათ, ჩემულპოში კიდევ რამდენიმე რუსის მეზღვაური დარჩაო; ცულებითა და ხმლებით შეიარაღებული იაპონელები ევროპიელების უბანს ეცნენ, რუსის სახლებში შეცვივდნენ, დაჩხრიკეს და აღუა შემოარტყეს. მეორე დღეს კონსულებმა გამოძიება მოახდინეს. იაპონელები სრულებით არ დაემორჩილნენ თავიანთ მოხელეებს, ზღვის პირ ქუჩაზე დადიოდნენ და იმუქრებოდნენ, სადა-კი რუსი შეგვხვდება, ყველას თავ-პირს დავამტვრევთო. ამ ამბის გამოსაძიებლად და ჩემულპოში წესიერების დასაცველად ჯავშნიანი გემი „პოლტავა“ და ნაღმიანი გემები გაჰგზავნეს.

პარიზი. თავ. ურუსოვის რომში გადაყვანის გამო, ყველა დიდი გაზეთები გულწფელ სინანულს აცხადებენ, რომ საფრანგეთიდან ასეთი გამოჩენილი დიპლომატი მიდისო: ურუსოვი ძლიერ დაეხმარა ორთა კავშირის განმტკიცებასაო. გაზეთები ახალ ელჩს ნელიდოვსაც თანაგრძნობის წერილებს უძღვნიან; საფრანგეთს ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა და დიდად გამოცდილი დიპლომატიაო.

ნიუ-იორკი ტეხასში ყვითელი ციება გაჩენილა.

ბერლინი. დიდი ქარის გამო იმპერატორი დღეს სასეირნოდ აღარ წავიდა. იგრა კარგად ურჩება. თავს კარგათა ჰგრძნობს.

ტრიესტი. რუსეთის ესკადრა დღეს ღამით გავიდა აქედან.

სიმლა. ყველა ჯარს, რომელიც იონგზეზბენდის მეთაურობით ტიბეტში უნდა გაემგზავროს, დღეს ბრძანება მოუვიდა, 14 დღის განმავლობაში სიკიმში შეიკრიბენითო.

კიევი. გალპერინმა სანატორიის ასაშენებლად და სინათლით სამკურნალოს გასამართავად 50 ათასი მანეთი შესწირა; ამას გარდა 2 ათას მანეთსაც ყოველ წლივ მისცემს სანატორიისა და სამკურნალოს შესანახად.

როსტოვი-დონზე. რისის ლითონის ნაწარმოების ფაბრიკა მთლად დაიწვა.

კრონშტადტი. კრონშტადსა და ბიორკეს შუა გემი „რობერტი“ დაიწვა. 7 მეზღვაური და იმათი სახლობა ყველანი დაიღუპნენ. გემი დაზღვეული არ იყო. უბედურების მიზეზი ვერ შეიტყეს.

31 **ოქტომბერი**

ბელგრადი. ცნობები, ვითომ ინგლისის მისიას არ მიეღოს სერბიის მთავრობისგან ინგლისის მეფის დაბადების მილოცვა, ტყუილია; სერბიის მთავრობა არც ცდილა მიელოცა ინგლისის მეფისათვის, რადგან ინგლისში არა ჰყოლია თავისი წარმომადგენელი. მეფე პეტრემ გაუგზავნა მეფე ედუარდს მისალოცი დეპეშა და დაუყოვნებლივ მიიღო პასუხი, რომლითაც მეფე ედუარდი მადლობას უცხადებდა მეგობრულ ყურადღებისათვის.

სოფია. გავრცელებული ხმა, ვითომ პეტროვის კაბინეტი სამსახურიდან გადადგომას აპირებდეს,—ტყუილია.

სოფია. მთავრობის წრეები სულთანისაგან ბევრს კარგს მოელიან მაკედონიისათვის. გაზეთი „პრეპორეც“-ი ჰბეჭდავს უცხოელთა მიერ გამოაშკარავებულს თავადის წინააღმდეგ ვითომდა შეთქმულობას. ახლანდელ სოფიის პრეფექტს ბასმარჯიევს მოუწყვია ფიქტიური შეთქმულობა და სხვას აწერინებდა უსახელო წერილებს, რომელთაც აჩვენებდა თავადს, რომ მისი ნდობა დაემსახურებინა და მით პრეფექტის ადგილი ეშოვნა, რაიც კიდევაც ჩაიგდო ხელთ. ბრალდებულთა შორის არიან მინისტრებად ნამყოფი ცანკოვისტები. „პრეპორეც“-ი გვპირდება შემდეგშიაც ბევრ რამეს გამოაშკარავებას.

პეტერბურგი. დღეს „პრავიტელსტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია, რომ პეტერბურგიდან მოსკოვში მიმავალს საფოსტო ვაგონს ცეცხლი გაუჩნდა 27 ოქტომბერს ღამით და არა 28 ოქტომბერს. — ხელმწიფე-დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის ნებართვით წითელი ჯვრის უმაღლესმა გამგეობამ იმპერიის ყველა თავის დაწესებულებებში დაიწყო შეწირულებათა შეკრება. შეწირულება იკრიბება აჯანყების დროს დაზარალებულ მაკედონელთათვის. შეწირულებას უმაღლესი გამგეობა გაუგზავნის მაკედონიაში რუსეთის კონსულებს გაჭირვებულთათვის დასარიგებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 28 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,65	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99⅝	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	462	გაყიდ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	347	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	290½	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91⅞	„
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	90	„
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	212	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 წ. (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს. (9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა.** მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭიროა წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ხის ნახშირის

საწყობი

იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საგუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—6.—5)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
ილიას დავითაშვილის ლექსები . . .	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი . . .	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო . .	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ . . .	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. .	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა .	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში .	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა . . .	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ყგურულში

დაიწყო გაყიდვა **დამყნილ** დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე **ვაზის რქები** საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის, მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისთვის. სანერგეში 700 სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის. В. Тьебо Кутаисъ. (10—6.—1)

ელეოპატი

შვედური ბალზამი

პროვიზორის **კინუნენისა**

ეს საშუალება ამაგრებს თმას და სპობს ქერტლსა. ის გარემოება, რომ ამ ელეოპატს 25 წელიწადია (1877 წლიდან) დიდი გასავალი აქვს, გვარწმუნებს, ნდობით მოვეკიდოთ ამ საშუალებას. ისყიდება ყველგან.

ადრესი წერილებისთვის: ს.-პეტერბურგი, რაზიეზჟაია № 13, პროვიზ. კინუნენის ელეოპატის მთავარ საწყობში (С.-Петербургъ, Разъѣжжая, 13,—въ главный складъ Элеопата, пров. Кинунена). (4—6.—2)

Доз. ценз. Тифлисъ 31 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბ. წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).